ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ.-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებარე კორპუსის პროექტის

საექსპერტო დასკვნა

ფუძე-საძირკვლები და კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ.-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებარე კორპუსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი, საანგარიშო წინაღობით R_c=60კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

მშენებარე საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, სართულიანობა 10 სართული, გააჩნია სარდაფისა და მანსარდის სართული.

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. მონოლითური სართულშუა და სასხვენო გადახურვები შევსებულია წვრილი ბლოკების წყობის.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, რომლის დიამეტრია 1 მეტრი. ბეტონის კლასით B22,5. რომელიც ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია სხვადასხვა დონეზე.

სვეტები, მონოლითური რკინაბეტონის ცვალებადი კვეთით, ბეტონის კლასით B25.

სართულშუა გადახურვის ფილა, მონოლითური რკინაბეტონის 18 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

კიბეები– მონოლითური რკინაბეტონის 18 სმ. სისქის. ბეტონის კლასით B25.

გადახურვა, მონოლითური რკინაბეტონის. ბეტონის კლასით B25.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ.-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებარე კორპუსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კომპიუტერული გაანგარიშება სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,,ლირა“-9.6 გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში, СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობოს პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

ექსპერტს გააჩნია შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები;

დასკვნები და რეკომენდაციები: აგებული ნაგებობის დატვირთვები ზეგავლენას არ მოახდენს გვერდზე მდგომი შენობების მზიდუნარიანობასა და მდგრადობაზე. შესაძლებელია პროექტში მოცემული მიწისქვეშა ავტოსადგომისა და მანსარდის მოწყობა.

ავტოსადგომისა და მანსარდის მშენებლობისას, დაცული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ნორმები და წესები.

ამრიგად პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

დამოუკიდებელი ექსპერტი,

საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**